განკარგულება:**g-49. 49251783**
თარიღი:**27/06/2025**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის “ მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 26 ივნისის №48-4825177100 წერილი,რომელშიც აღნიშნულია, შპს ,,გეოლოდსა'' და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას შორის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2025 წლის 24 თებერვალს გაფორმებული N42 ხელშეკრულების (NAT250001804) შესაბამისად, შპს ,,გეოლოდის'' მიერ მოწოდებული იქნა დეკორატიული ქვის საზურგიანი სკამების, დეკორატიული ქვის უზურგო სკამების, დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდების, დეკორატიული ქვის მრგვალი საყვავილეების და დეკორატიული ქვის ურნები და ითხოვს თანხმობას ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის “ მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ , დანართი თან ერთვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106^1-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის “ მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ,დანართი თან ერთვის.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი:ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

№	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა (ცალი)	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი	მოდელი	ერთეულის ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით (ლარი)	საერთო ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით (ლარი)
1	**დეკორატიული ქვის ურნა (ბეჟი)**	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები დეტალურად გაწერილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 მუხლის მიმაგრებულ ფაილებში ("ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული ნაგვის ურნის ტექნიკური მახასიათებლები", "ესკიზი N1 - ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული ნაგვის ურნა")	48	საქართველო	შპს გეოლოდი	BJ-LTB	420	20160
2	**დეკორატიული ქვის ზურგიანი სკამი (ბეჟი)**	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები დეტალურად გაწერილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 მუხლის მიმაგრებულ ფაილებში ("ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული საზურგიანი სკამის ტექნიკური მახასიათებლები", "ესკიზი N2 - ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული საზურგიანი სკამი")	57	საქართველო	შპს გეოლოდი	BJ-1-600	1200	68400
3	**დეკორატიული ქვის მრგვალი საყვავილე (ბეჟი)**	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები დეტალურად გაწერილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 მუხლის მიმაგრებულ ფაილებში ("ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული საყვავილის ტექნიკური მახასიათებლები", "ესკიზი N3 - ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული საყვავილე")	7	საქართველო	შპს გეოლოდი	BJ-PLNT	650	4550

4	**დეკორატიული ქვის უზურგო სკამი (ბეჟი)**	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები დეტალურად გაწერილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 მუხლის მიმაგრებულ ფაილებში ("ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული უსაზურგო სკამის ტექნიკური მახასიათებლები", "ესკიზი N4 - ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული უსაზურგო სკამი")	40	საქართველო	შპს გეოლოდი	BJ-BNC-2	950	38000
5	**დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდა (ბეჟი)**	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები დეტალურად გაწერილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 მუხლის მიმაგრებულ ფაილებში ("ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული ჭადრაკის მაგიდისა და სკამების ტექნიკური მახასიათებლები", "ესკიზი N5 - ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული ჭადრაკის მაგიდა და სკამები")	4	საქართველო	შპს გეოლოდი	BJ-CHESSSET	4700	18800
	ჯამური ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით:							149910